

ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების საერთო პირობების დანართი N24 - კონვერტაცია BMatch-ის გამოყენებით

1. ამ დანართის მიზნებისთვის ქვემოთ მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
 - 1.1. **BMatch-ის პლატფორმა - ბლუმბერგის ერთ-ერთი ელექტრონული სავაჭრო სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კონვერტაცია;**
 - 1.2. **BMatch-ის განაცხადის წარმოების საკომისიო - საკომისიო რომელსაც კლიენტი გადაუხდის ბანკს BMatch-ის გამოყენებით კონვერტაციის დავალების განთავსების, ცვლილებისა და გაუქმების თითოეული განაცხადის წარდგენისთანავე (მიუხედავად იმისა შესრულდება თუ არა შემდგომში კლიენტის განაცხადით განსაზღვრული დავალება) და რომლის ვალუტა და ოდენობა განისაზღვრება საერთო პირობების დანართ N1-ით;**
 - 1.3. **BMatch-ის ანგარიშსწორების საკომისიო - საკომისიო, რომელსაც კლიენტი გადაუხდის ბანკს BMatch-ის გამოყენებით კონვერტაციის ფარგლებში კლიენტის დავალების საფუძველზე თითოეული სავალუტო გარიგების წარმატებით დადებისა და შესრულების შემთხვევაში (თითოეული ტრანზაქციისთვის), ანგარიშსწორებისას და რომლის ვალუტა ყოველ შემთხვევაში განისაზღვრება BMatch-ის გამოყენებით კონვერტაციის ფარგლებში კლიენტის მიერ გაყიდული თანხის ვალუტის შესაბამისად, და რომლის ოდენობაც განისაზღვრება საერთო პირობების დანართ N1-ით;**
 - 1.4. **საერთაშორისო საბანკო დღე - დღე (შაბათის, კვირის ან კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა), როდესაც საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი კომერციული ბანკები ღიაა და წარმართავენ თავიანთ ჩვეულებრივ საქმიანობას.**
2. **BMatch-ის გამოყენებით კონვერტაციის ფარგლებში, ბანკი წარმოადგენს კლიენტის აგენტს, რა დროსაც კლიენტის განაცხადში განსაზღვრული დავალების აღსრულების მიზნით, ბანკი BMatch-ის პლატფორმის სხვა მონაწილეებთან შედის სავალუტო გარიგებაში, სავალუტო რისკის აღების გარეშე.**
3. **კლიენტი უფლებამოსილია, ყოველ საბანკო დღეს, ბანკის მიერ განსაზღვრული არხების მეშვეობით, შესაბამისი განაცხადის საფუძველზე, წარუდგინოს ბანკს დავალება BMatch-ის გამოყენებით კონვერტაციის განხორციელების თაობაზე.**
4. **BMatch-ის გამოყენებით კონვერტაციის ფარგლებში, კლიენტის განაცხადით განსაზღვრული დავალების საფუძველზე, ბანკი შესაბამის ვალუტის კონვერტაციის განაცხადს განათავსებს BMatch-ის პლატფორმაზე.**
5. **BMatch-ის პლატფორმაზე ბანკის მიერ კლიენტის დავალების შესაბამისად განთავსებული ვალუტის კონვერტაციის განაცხადი ავტომატურად დაწყვილდება, სრულად ან ნაწილობრივ, (მოხდება „მეჩინგი“) შესაბამისი საპირისპირო კურსის მქონე, ვალუტის კონვერტაციის სხვა განაცხად(ებ)თან, რაც წარმოადგენს შესაბამისი სავალუტო გარიგების დადების საფუძველს.**
6. **კლიენტის დავალების საფუძველზე BMatch-ის პლატფორმაზე განთავსებული ვალუტის კონვერტაციის განაცხად(ებ)ი შესაძლოა დაწყვილდეს/შესრულდეს (მოხდეს მეჩინგი) ნაწილობრივ. დარჩენილი თანხის ნაწილში, კლიენტის დავალება BMatch-ის პლატფორმაზე დარჩება დამოუკიდებელი ვალუტის კონვერტაციის განაცხადის სახით, ან ავტომატურად გაუქმდება BMatch-ის პლატფორმის მიერ, BMatch-ის პლატფორმის ოპერირების სტანდარტების შესაბამისად.**
7. **კლიენტი აცნობიერებს და თანხმდება, რომ:**
 - 7.1. **ბანკისთვის საბანკო დღის 17:00 საათამდე წარდგენილი განაცხად(ებ)ით განსაზღვრული დავალებ(ებ)ის საფუძველზე, ბანკი ვალუტის კონვერტაციის განაცხად(ებ)ს BMatch-ის პლატფორმაზე განათავსებს იმავე საბანკო დღეს;**
 - 7.2. **ბანკისთვის საბანკო დღის 17:00 საათის შემდეგ წარდგენილი განაცხად(ებ)ით განსაზღვრული დავალებ(ებ)ის საფუძველზე, ბანკი ვალუტის კონვერტაციის განაცხად(ებ)ს BMatch-ის პლატფორმაზე განათავსებს მომდევნო საბანკო დღეს.**
 - 7.3. **BMatch-ის პლატფორმის საოპერაციო დღის დახურვის მომენტში BMatch-ის პლატფორმაზე განთავსებული დაუწყვილებელი/არშესრულებული ვალუტის კონვერტაციის განაცხადები ავტომატურად გაუქმდება BMatch-ის პლატფორმის ოპერირების სტანდარტების შესაბამისად.**
8. **ბანკი ვალდებულია BMatch-ის გამოყენებით კონვერტაციის შედეგად სავალუტო გარიგების დადების შემთხვევაში, 1 (ერთი) საათის ვადაში აცნობოს აღნიშნულის თაობაზე კლიენტს, განაცხადში დაფიქსირებულ საკონტაქტო მონაცემების გამოყენებით.**
9. **სავალუტო გარიგების დადების შესახებ ბანკისგან შესაბამისი შეტყობინების მიღებამდე, ნებისმიერ დროს, კლიენტი უფლებამოსილია მიმართოს ბანკს BMatch-ის გამოყენებით კონვერტაციის დავალების გაუქმების ან ცვლილების განაცხადით.**
10. **BMatch-ის პლატფორმის ოპერირების სტანდარტების შესაბამისად, კლიენტის მიერ წარმოდგენილი დავალების გაუქმების ან ცვლილების განაცხადის საფუძველზე, ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს კლიენტის თავდაპირველი ვალუტის კონვერტაციის განაცხადის გაუქმება/ცვლილება, მხოლოდ ბანკის მიერ გაუქმების/ცვლილების დავალების BMatch-ის პლატფორმაზე რეგისტრაციის მომენტისთვის დაუწყვილებელ/შეუსრულებელ ნაწილთან მიმართებაში.**
11. **BMatch-ის გამოყენებით კონვერტაციის ფარგლებში მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ფორმით, განაცხადით განსაზღვრული ანგარიშ(ებ)ის მეშვეობით.**
12. **BMatch-ის გამოყენებით კონვერტაციის ფარგლებში დადებული სავალუტო გარიგების შედეგად ანგარიშსწორებისას, ან ნებისმიერი მიზეზით გაუქმებული დავალების/სავალუტო გარიგების შედეგად კლიენტის ანგარიშიდან წინასწარ**

ჩამოჭრილი თანხის უკან დაბრუნებისას, **ბანკი** შესაბამისი თანხის გადარიცხვას განახორციელებს **კლიენტის** მიერ **განაცხადში** მითითებულ **ანგარიშზე**, გარიგების დადების ან/და **დავალების/სავალუტო** გარიგების გაუქმების დღიდან მომდევნო **საერთაშორისო საბანკო დღეს**.

13. წინამდებარე **დანართის მე-12 პუნქტში** განსაზღვრული ვალდებულების მიუხედავად, **ბანკი კლიენტთან** სავალუტო გარიგების შედეგად ნაყიდი (მისაღები) თანხის ანგარიშსწორებას განახორციელებს მხოლოდ გარიგების მეორე მხარისგან შესაბამისი თანხის მიღების შემდეგ.
14. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** დაუდგინოს, **BMatch-ის პლატფორმის** ოპერირების სტანდარტების შესაბამისად, **BMatch-ის პლატფორმაზე** განსათავსებელი ვალუტის კონვერტაციის განაცხადების მინიმალური თანხობრივი ლიმიტები და თანხის ჯერადობის ლიმიტები.
15. **BMatch-ის გამოყენებით კონვერტაციის** მომსახურების გაწევისთვის **კლიენტი** გადაუხდის **ბანკს BMatch-ის განაცხადის წარმოების საკომისიოსა და BMatch-ის ანგარიშსწორების საკომისიოს**.
16. **BMatch-ის გამოყენებით კონვერტაციის განაცხადის ბანკისთვის წარდგენის მომენტისთვის, კლიენტი** ვალდებულია უზრუნველყოს **BMatch-ის გამოყენებით კონვერტაციის** ფარგლებში დასადები სავალუტო გარიგებისათვის საჭირო თანხისა და **BMatch-ის განაცხადის წარმოების საკომისიოს** თანხის სრულად განთავსება **განაცხადით** განსაზღვრულ **ანგარიშ(ებ)ზე**, რაც წარმოადგენს **ბანკის** მიერ **კლიენტის BMatch-ის გამოყენებით კონვერტაციის** თაობაზე **დავალების** შესრულების ერთ-ერთ წინაპირობას.
17. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** მიერ **განაცხადის** წარმოდგენისთანავე, საკუთარი შეხედულებისამებრ, **განაცხადში** განსაზღვრული **კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან** (ან, აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში **ბანკში** არსებული **კლიენტის** ნებისმიერი **ანგარიშიდან**) უაქცეპტოდ:
 - 17.1. ჩამოჭრას ან/და დაბლოკოს თანხა **BMatch-ის გამოყენებით კონვერტაციის** ფარგლებში, **ბანკის** წინაშე **კლიენტის** მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.
 - 17.2. ჩამოჭრას **BMatch-ის განაცხადის წარმოების საკომისიოს** თანხა;
18. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ:
 - 18.1. შესრულებული სავალუტო გარიგების ანგარიშსწორების შემდეგ, **ბანკში** არსებული **კლიენტის** ნებისმიერი **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოჭრას **BMatch-ის ანგარიშსწორების საკომისიოს** თანხა (მათ შორის, ექვივალენტი თანხა განსხვავებულ ვალუტაში); ან
 - 18.2. შესრულებული სავალუტო გარიგების ანგარიშსწორებისას, **კლიენტისთვის** გადასარიცხი შესაბამისი თანხებიდან უაქცეპტოს დაქვითოს (ჩამოჭრას) **BMatch-ის ანგარიშსწორების საკომისიოს** თანხა (ექვივალენტი თანხა განსხვავებულ ვალუტაში).
19. **BMatch-ის პლატფორმის** ოპერირების სტანდარტებისა და **კანონმდებლობის** თანახმად **ბანკი** არც ერთ შემთხვევაში არ არის ვალდებული ან უფლებამოსილი გააგნოს **კლიენტს BMatch-ის გამოყენებით კონვერტაციის** ფარგლებში სავალუტო გარიგების დადების მომენტამდე, დასადები სავალუტო გარიგების შესრულების კონკრეტული დეტალები, მათ შორის და არა მხოლოდ, სავალუტო გარიგების მეორე მხარის ვინაობა, შესასრულებელი ტრანზაქციების რაოდენობა, ტრანზაქციების არხები და სხვა ინფორმაცია.
20. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმდება, რომ იმ შემთხვევაში თუ დადებული სავალუტო გარიგების მეორე მხარე არ გადმოურიცხავს **ბანკს** ანგარიშსწორებისთვის საჭირო შესაბამისი ოდენობის თანხას, **ბანკი** არ არის ვალდებული რაიმე სახით ჩაერთოს კომუნიკაციაში ან დავაში, დადებული სავალუტო გარიგების მეორე მხარესთან, თავისი, ან **კლიენტის** სახელით.
21. **ბანკი**, არანაირი ფორმითა და მოცულობით, არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** წინაშე:
 - 21.1. **კლიენტის** მიერ **განაცხადით** წარმოდგენილი **BMatch-ის გამოყენებით კონვერტაციის დავალების** (მათ შორის თავდაპირველი **დავალების** გაუქმების ან ცვლილების **დავალების**) ნაწილობრივ ან სრულად ნებისმიერი მიზეზით შეუსრულებლობაზე (მათ შორის და არამხოლოდ თუკი აღნიშნული გამოწვეულია **კლიენტის** მიერ წინამდებარე **დანართის მე-15 და მე-16 პუნქტებით** განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით) და ამისგან მომდინარე ნებისმიერი სახის ზიანზე (ზარალზე);
 - 21.2. **BMatch-ის გამოყენებით კონვერტაციის დავალების** საფუძველზე ვალუტის კონვერტაციის განაცხადის განთავსებისას/გარიგების განხორციელებისას **ბანკისაგან** დამოუკიდებელი მიზეზ(ებ)ით **BMatch-ის პლატფორმაზე** წარმოქმნილ ტექნიკურ ხარვეზზე და ამისგან მომდინარე ნებისმიერი სახის ზიანზე (ზარალზე);
 - 21.3. **BMatch-ის პლატფორმის** ან თავად **ბანკის** მიერ, **BMatch-ის პლატფორმის** ოპერირების სტანდარტების შესაბამისად, **კლიენტის დავალების** საფუძველზე განთავსებული ვალუტის კონვერტაციის განაცხადის, სრულად ან ნაწილობრივ გაუქმებაზე და ამისგან მომდინარე ნებისმიერი სახის ზიანზე (ზარალზე);
 - 21.4. **BMatch-ის გამოყენებით კონვერტაციის** ფარგლებში დადებული სავალუტო გარიგების ანგარიშსწორების შეუსრულებლობაზე (მათ შორის **კლიენტისთვის** ჩამოჭრილი/დაბლოკილი თანხის დაბრუნებაზე) და ამისგან მომდინარე ზიანზე (ზარალზე), თუკი აღნიშნული გამოწვეულია გარიგების მეორე მხარის მიერ **ბანკისთვის** შესაბამისი ოდენობის თანხის არ გადმორიცხვით.